20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

განკარგულება

10/02/2026 N 19

თბილისი

რეგისტრირებული კოოპერატივის „საკრედიტო კავშირი მეჯინისწყალის“ ლიკვიდაციის პროცესის დასრულებისა და ლიკვიდაციის პროცესში მყოფი საკრედიტო კავშირის გარდაქმნაზე თანხმობის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე ორგანული კანონის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის, „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების - საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის და „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების - საკრედიტო კავშირების გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 16 ოქტომბრის №266 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე:

1. მიეცეს თანხმობა რეგისტრირებულ კოოპერატივს „საკრედიტო კავშირ მეჯინისწყალს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 248384680) საქმიანობის საგნის ცვლილებასა და არასადეპოზიტო-არასაკრედიტო საქმიანობის საზოგადოებად გარდაქმნაზე;
2. დასრულდეს რეგისტრირებული კოოპერატივის „საკრედიტო კავშირი მეჯინისწყალის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 248384680) ლიკვიდაციის პროცესი და ლიკვიდატორის თანამდებობიდან გათავისუფლდეს ემზარ სურმანიძე (პ/ნ 61006003701);
3. ეს განკარგულება გაეგზავნოს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს;
4. ეს განკარგულება 10 დღის ვადაში გამოქვეყნდეს სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ.

აღმაშენებლის ხეივანი №64), მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;

6. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

ნათელა თურნავა

პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი